

შპს თენგო-2000 (ს/კ:424072381)

ფინანსური ანგარიშგება 2024

შპს თენგო- 2000
ფინანსური ანგარიშგება
2024

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება-----	4
სააღრიცხვო პოლიტიკა -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	9

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	409198	951231	690900
სავაჭრო მოთხოვნები	738452	709457	427561
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	567898	8347	5747
მარაგები	221704	275744	189487
- მზა პროდუქცია	973023	160478	194205
- სხვა			
სხვა მიმდინარე აქტივები	3232	920	
სხვა არამატერიალური აქტივები	43283	73575	118068
ძირითადი საშუალებები	3999360	3359508	3352443
სულ აქტივები	6956150	5539260	4978411
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	39001	53907	39860
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	4144	5065	30993
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	316684		
სხვა ვალდებულებები	1402		22205
სულ ვალდებულებები	361231	58972	93058
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			5209
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	6594919	5480288	4880144
სულ საკუთარი კაპიტალი	6594919	5480288	4885353
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6956150	5539260	4978411

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება

	31-12-24	31-12-23
ნეტო ამონაგები	7935244	6679252
საქონლის გაყიდვიდან	7935244	6679252
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3869904)	(3428813)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	4065340	3250439
სხვა საოპერაციო შემოსავალი	295398	23549
დასაქმებულთა ანაზღაურება	(960422)	(896347)
ცვეთა და ამორტიზაცია	(416523)	(228827)
საპროცენტო ხარჯი :	(2142)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(802004)	(749908)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1885693)	(1851533)
საოპერაციო მოგება	2179647	1398906
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2179647	1398906
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	2179647	1398906
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5480288	4885353
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1065016)	(798762)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(5209)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6594919	5480288

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თენგო-2000 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 31/03/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, II შახტის ტერიტორია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება (ქვიშა, ღორღი, ინერტული მასალა (ღორღის მსხვრევა, დაქუცმაცება)), ხოლო დამატებითი საქმიანობებია: ცემენტის წარმოება; ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის და ბეტონის წარმოება.

კომპანიის დირექტორი: თენგიზ ხითარიშვილი (ს/ნ 47001009342)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

1. შენობა-ნაგებობა- 5%
2. ოფისის აღჭურვილობა- 20%
3. მანქანა-დანადგარები- 20%
4. სატრანსპორტო საშუალებები- 20%
5. არამატერიალური აქტივები - ლიცენზიით გათვალისწინებული ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება

შპს თენგო-2000 - ის

დირექტორი თენგიზ ხითარიშვილი



ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება FIFO მეთოდით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება სავაჭრო პირობებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს საბაზრო პირობებით აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს მიხედვით გამომუშავებულ თანხას. ხოლო ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, ადმინისტრაციისა და დაქირავებულთა გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით.



განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

2024

2023

ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	9539	13209.51
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	399659	938021.79

2. არამატერიალური აქტივები - ლიცენზია ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის

2024

2023

სხვა არამატერიალური აქტივები	43283	73575.46
------------------------------	-------	----------

3. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები - მოიცავს ისეთ ხარჯებს როგორც არის ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასი, საკანცელარიო, სხვადასხვა მომსახურება, კომუნალური, სამეურნეო საქონელი და ა.შ.

2024

2023

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	802004	749907
--	--------	--------

4. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 20 სექტემბერს.

